www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 1 ნოემბერი, 2013 წელი. | №3398 (205) | ფასი 50 თეთრი

პარლამენტი პრეზიდენტ სააკაშვილის ბოლო ვეტოს დასაძლევად ემზადება

საპარლამენტო უმრავლესობა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტოს დასაძლევად ემზადება.

პარლამენტისთვის პრეზიდენტის მიერ გაგზავნილი მოტივირებული შენიშვნები დეპუტატებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა დიმიტრი ძაგნიძემ გააცნო. პრეზიდენტისთვის მიუღებელია კანონპროექტის ის ნორმა, რომლის თანახმად, მოსამართლეები უვადოდ დანიშვნამდე 3-წლიან გამოსაცდელ ვადას გაივლიან, რაც, ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას ხელყოფს. კანონპროექტი კონსტიტუციაზე დაყრდნობით არის მომზადებული, თუმცა პრეზიდენტი მიუთითებს, რომ კონსტიტუცია მოსამართლეებისთვის 3-წლიანი გამოსაცდელი ვადის დანიშვნას იმპერატიულად არ ითხოვს და მხოლოდ ამის შესძლებლობას უშვებს.

მიხეილ სააკაშვილის შენიშვნები კანონპროექტის იმ ნაწილსაც ეხება, რომლის მიხედვითაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა სამი წლით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის მონიტორინგი უნდა გაწიონ და მათი უვადოდ დანიშვნა მხოლოდ გამოსაცდელი ვადის დადებითად შეფასების შემდეგ ხდება შესაძლებელი. დიმიტრი ძაგნიძის თქმით, მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებისას ისედაც მკაცრი კრიტერიუმები მოქმედებს და ამ კუთხით იუსტიციის საბჭოს წევრებისთვის მონიტორინგის დავალების მიცემა კორუფციის საფრთხეს შეიცავს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

სასამართლომ ბაჩო ახალაია ისევ გაამართლა

შვიდი სპეცრაზმელის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ თავდაცვის და შს ექს-მინისტრ ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. ბაჩო ახალაიასთვის ეს უკვე მეორე გამამართლებელი განაჩენია. 1 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდებსა და ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდზე ბაჩო ახალაია უდანაშაულოდ ცნო.

თუმცა, მიუხედავად ამისა, შს და თავდაცვის ყოფილი მინისტრი საპატიმროში რჩება. 28 ოქტომბერს მოსამართლემ ლაშა ჩხიკვაძემ ბაჩო ახალაია «ციხის ბუნტის» საქმეზე დამნაშავედ ცნო და თავისუფლების 3 წლითა და 9 თვით აღკვეთა მიუსაჯა. ამასთან, ცოტა ხნის წინ ბაჩო ახალაიას კიდევ ერთი ბრალი წარედგინა, რომელიც სანდრო გირგვლიანის საქმეს ეხება. აღნიშნულ საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, საკუთარი ძმის - დავით ახალაიასა და სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში მონაწილე სხვა პირთათვის უკანონო უპირატესობის მინიჭების მოტივით, სასამართლომ შს და თავდაცვის ყოფილ მინისტრს 26 ოქტომბერს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

რაც შეეხება ე.წ შვიდი სპეცრაზმელის საქმეს, განხილვა ორ თვეზე მეტხანს მიმდინარეობდა. ბაჩო ახალაიას, ბრალდებულ შვიდ პირთან ერთად, შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში შვიდი სპეცრაზმელის განსხვავებული პოლიტიკური ნიშნით წამება და არაადამიანური მოპყრობა ედებოდა ბრალად.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

უკრაინის ევროინტეგრაცია კვლავ საფრთხეშია ტიმოშენკოს გამო

ივა შილაკაძე

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს პატიმრობიდან გათავისუფლება კვლავ რჩება დასავლეთის მთავარ მოთხოვნად, რომლის შესრულების გარეშეც ოფიციალურ კიევს ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებზე ხელმოწერის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

გაგრძელება
მე-<None> გვერდზე

სირიამ ქიმიური იარაღის ქარხნები გაანადგურა

თამთა კახაძე

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ახმეტ უზუმჩუ

სირიამ ქიმიური იარაღის დამამზადებელი ყველა დეკლარირებული ქარხანა გაანადგურა - ამის შესახებ საუბარია ჯერ გამოუქვეყნებელ მოხსენებაში, რომელიც გუშინ «როიტერს“ ჩაუვარდა ხელში.

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციამ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ქიმიური იარაღის წარმოებისა და შენახვის 23 ობიექტიდან 21-ის დათვალიერება შეძლო.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	17°C - 9°C
ქუთაისი	15°C - 8°C
ზუგდიდი	19°C - 12°C
ბათუმი	20°C - 15°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ფაჩულიას მედისონი

ზურა თალაკვაძე

ზაზა ფაჩულია ძალიან კარგი ცენტრია. ამერიკაში ზაზა შეუცვლელებს ცვლის და ასვენებს. საქართველოს ნაკრებში შეუცვლელი ზაზაა. და ზაზას ასვენებენ. „მილუოკიში“ ცოტა სხვა თემაა. იქ მისტერ სანდერსი ძირითადი მეხუთე ნომერია და მისტერ სანდერსი ნორმალური ბიჭია. კარგი საშუალოთი, საკაიფო დაცვით, მშვენიერი მაჯით და მანიაკის თვალებით. ზაზა ჯერ ამ ახალგაზრდა ტიპის შემცვლელია და ალბათ, სადღაც, რაღაც მომენტში ძირითადი მეხუთე ნომრის წუთებსაც მიიღებს. ყველა ვარიანტში უნდა მიიღოს. ახალი რეგულარულის პირველ თამაშში ფაჩულია შეუცვლელი იყო და სანდერსი პირიქით, შეცვლილი და შესაცვლელი. ფაჩულიამ „მილუოკის“ მაქსიმუმი აჩუქა და სანდერსმა - მინიმუმის ნაშთი. ფაჩულიამ ორმაგი დუბლის ორმაგი აგრესიით გახსნა სეზონი და სანდერსი არ ჩანდა. „მილუოკიმ“ წააგო, მაგრამ ეს მოსალოდნელი იყო. „ბაქსი“ ცუდი გუნდია და ზაზა - The Man.

არასრულ 34 წუთში ზაზამ 10 სროლიდან 6 ათიანში გაუშვა. სნაიპერული, ცენტრის აკურატული სროლა. ერთადერთი ჯარიმაც აითვისა და „მედისონ სკვერ გარდენის“ ბრექი საზოგადოება ცოტა ხნით დააწყნარა. ზაზაც წყნარი, ცუდი გუნდის კარგი ცენტრი იყო და ფაჩულიამ არ შეიმჩნია „ნიუ იორკის“ რამდენიმე პოპულარული მილიონერი.

არ შეიმჩნია ტაისონ ჩენდლერი და მისტერ ჩენდლერი ერთ-ერთი საუკეთესო პერსონალური დამცველია.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

რობერტ დე ნირო, კლეირ შერმანი, ალექსი უორთი, იზაბელ ბიშოპი, ბარბარა ტაკენაგა და სხვები

ია მერკვილაძე
ნიუ იორკი, აშშ

ხანდახან მგონია, რომ დიდი ვაშლის ქალაქში, განსაკუთრებით კი ჩელსიში იმდენი დიდი, საშუალო და პატარა გალერეაა, რამდენი - არტისტიც. იმდენი“, ალბათ, ის ზუსტი განსაზღვრება არაა, მაგრამ მაინც ისეთი სიტყვაა, რომელიც გაბნებს და გაკომპლექსებს. თუ არ გაგიმართლა და ცოცხალი მხატვარი იქ ვერ აღმოჩინე (გახსნის დღესაც შეიძლება ვერ იხილო) მათთან დამეგობრება ფეისბუკზეც შეიძლება და ხელოვნებაზე გაბაასებაც.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

სასამართლომ ბაჩო ახალაია ისევ გაამართლა

პირველი გვერდიდან

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლომ ახალაიას და სხვა პირთა მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის შესახებ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა ბაჩანა ახალაიას, მამუკა აბაშიძის, დავით ჩუბინიძის, ალექსი დავითაშვილის, ვლადიმერ ზანგიევას, დავით გიორგაშვილის, რობერტ სუთიძისა და დავით ვეკუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულებმა თავი არ ცნეს დამნაშავედ მათ მიმართ წარდგენილ ბრალდებებში. სასამართლო განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, მოსამართლემ დავით მგელიაშვილმა მიიჩნია, რომ არ არსებობდა ბრალდებულთა დამნაშავედ ცნობისთვის საჭირო, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც დაადასტურებდა პირთა ბრალეულობას შერაცხულ ქმედებებში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმეზე შეკრებილი მასალების განხილვის შედეგად ბრალდებულები უდანაშაულოდ მიიჩნია და მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა, - აღნიშნულია სასამართლოს განცხადებაში.

განაჩენის გამოტანისთანავე კომენატრები გააკეთეს ბაჩო ახალაიას ადვოკატებმა.

მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, გამამართლებელი განაჩენი მოსალოდნელი იყო. მისივე თქმით, პროცესზე ყველა ხედავდა «შპარგალკიან» მოწმეებს და შეცვლილ ჩვენებებს.

ადვოკატი გოგა ონაინი კი იუსტიციის მინისტრისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

ონიანის თქმით, თეა წულუკიანმა, მინიმუმ, ბოდიში უნდა მოუხადოს იმ ადამიანებს, რომლებიც თვეების განმავლობაში განსასჯელის სკამებზე უკანონოდ ისხდნენ და მათ ოჯახებს.

„დადასტურდა, რომ ეს რეინჯერების კურსი იყო და მინდა, ვკითხო თეა წულუკიანს, რა ქნან იმ ადამიანების შვილებმა, მშობლებმა, რომლებიც უკანონო პატიმრობაში ამყოფეთ თვეების განმავლობაში. სპეცრაზმელებმა, რომლებიც განსასჯელის სკამზე დასვით და 7 თვის თავზე მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ. როგორ ჩახედავთ მათ და მათი ოჯახის წევრებს თვალებში და მიიჩნევთ თუ არა, რომ ამ ადამიანებს, მინიმუმ, ბოდიში უნდა მოუხადოთ,“ - განაცხადა ონიანმა.

მისივე თქმით, მოსამართლეზე, რომელსაც სუფთა წარსული აქვს, ზეწოლა არ ჭრის.

„როდესაც მოსამართლეს სუფთა წარსული აქვს, არ აქვს შევარდნაძის დროს ნამუშევარი საგადასახადოში, სხვადასხვა კორუმპირებულ სტრუქტურებში, მასზე ზეწოლა არ ჭრის. ეს დადასტურდა, რადგან იმ მოსამართლემ, რომელიც დანიშნული იყო იმ პერიოდში, როდესაც კორუფცია დამარცხდა, კანონიერი და სწორი გადაწყვეტილება გამოიტანა. ვისაც ნამუშევარი ჰქონდა შევარდნაძის დროს საგადასახადო სისტემაში, ჩემი აზრით, სწორედ ამით დაშანტაჟებულმა გამოიტანა ის გადაწყვეტილება, რაც რამდენიმე დღის წინ ვიხილეთ. აქედან გამომდინარე, უნდა გაგრძელდეს ის პრაქტიკა, როდესაც მოსამართლეებზე პროკურატურის ზეწოლა არ ჭრის,“ - განაცხადა ადვოკატმა.

ამასთან, დაცვის მხარე, სავარაუდოდ, მათი დაცვის ქვეშ მყოფთათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს.

გიორგი ონიანი ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, თუ რა სახისა და რა ოდენობის მორალურ ზიანზე შეიძლება იყოს საუბარი, თუმცა აცხადებს, რომ ეს სავსებით ლოგიკურია, რადგან **„ეს ადამიანების შვიდი თვის მანძილზე ციხეში უკანონოდ ისხდნენ.“**

რაც შეეხება ბრალდების მხარეს, სახელმწიფო მბრალდებლის, პროკურორ დავით მესტვირიშვილის განცხადებით, არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომელიც აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულების დანაშაულს ამტკიცებს.

„სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილების შესახებ არაფრის თქმა შემიძლია, სანამ განაჩენს არ ვნახავ. უნდა ვნახო, რამდენად დასაბუთებულია გადაწყვეტილება, რის შემდეგაც განაჩენი გასაზღვრულ ვადებში, სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება,“ - განაცხადა დავით მესტვირიშვილმა.

მოგვიანებით, მთავარმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება.

„ბრალდებულთათვის წარდგენილი ბრალდებები დასტურდებოდა ყველა (7) დაზარალებულისა და 63 მოწმის ჩვენებით, ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

მას შემდეგ, რაც ბრალდების მხარეს ჩაბარდება სასამართლოს მოტივირებული განაჩენი, მიღებული იქნება გადაწყვეტილება მისი გასაჩივრების შესახებ,“ - ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ბაჩო ახალაიას ოჯახის წევრები მოსამართლე დავით მგელიაშვილის გადაწყვეტილებას ერთი კონკრეტული მოსამართლის სამართლიან გადაწყვეტილებად აფასებენ.

ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილის თქმით, მისთვის «ციხის ბუნტის» საქმეზე მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის გადაწყვეტილების შემდეგ უცნობი იყო, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა დავით მგელიაშვილი.

„მას შემდეგ, რაც წინა მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილებით ქურდების მხარე დაიჭირა და რეაბილიტაცია მოახდინა, დღეს ყველაფერს ველოდი, მაგრამ ეს კონკრეტული ერთი მოსამართლის სამართლიანი გადაწყვეტილება იყო,“ - განაცხადა ანი ნადარეიშვილმა.

ბაჩო ახალაიას მამის როლად ახალაიას განცხადებით, მისთვის სასიხარულოა სამართლიანი გადაწყვეტილება დავით მგელიაშვილის მხრიდან.

„ეს სამართლიანი გადაწყვეტილებაა. მინდა, მივმართო იმ სამარცხვინო განაჩენის ავტორს, რომელიც ციხის ბუნტის საქმეზე იქნა გამოტანილი - მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძეს და მინდა, მივულოცო მას ქურდულ სამყაროსთან გაერთიანება. დღეს ქურდები მისი გადაწყვეტილებით ამაყობენ,“ - განაცხადა როლანდ ახალაიამ.

გამამართლებელი განაჩენის გამოცხადების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა საქმეში ერთ-ერთმა ბრალდებულმა, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ყოფილმა წარმომადგენელმა მამუკა აბაშიძემაც.

მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ნამდვილად სამართლიანია, მაგრამ სასიხარულო არ არის, იქიდან გამომდინარე, რომ საქმე სასამართლომდეც არ უნდა მისულიყო.

„ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ იყო, რადგან ბრალდება იმდენად სასაცილო იყო, რომ საქმე აქამდე არ უნდა მისულიყო,“ - განაცხადა მამუკა აბაშიძემ.

თავად ბაჩო ახალაიამ კი, სოციალური ქსელის მეშვეობით განცხადება გამოაქვეყნა და მასთან ერთად ბრალდებულებს მოთმინებისთვის მადლობა გადაუხადა.

„დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო იმ ვაჟკაც ბიჭებს, რომლებიც მთელი ამ წლის განმავლობაში ჩემთან ერთად ისხდნენ ბრალდებულის სკამზე და უაღრესად დიდი მოთმინებით იტანდნენ ჩვენთვის ყველაზე შეურაცხმყოფელ ცილისწამებას. სამართლიანი მოსამართლის სამართლიანი გადაწყვეტილების შედეგად დღეს დაუმტკიცეს მთელ მსოფლიოს თავიანთი სიმართლე. ეს ადამიანები მრავალი წლის განმავლობაში პირნათლად ემსახურებოდნენ ჩვენს ქვეყანას და ჩვენ ხალხს, არაერთი ბრძოლა და ომი გამოუვლიათ ვაჟკაცურად და დარწმუნებული ვარ, ისეთივე შემართებით გააგრძელებენ ქვეყნის სამსახურს და ბრძოლას ერთიანი საქართველოსთვის. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ასევე მათ ოჯახებს ასეთი პატრიოტი და ვაჟკაცი შვილების აღზრდისთვის, დიდი მოთმინებისა და იმ შეურაცხყოფის ატანისთვის, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში უწევდათ,“ - ნათქვამია განცხადებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენს გამოეხმაურნენ როგორც საპარლამენტო უმცირესობის, ასევე უმრავლესობის წევრებიც.

«ნაციონალურ მოძრაობაში» იმედი აქვთ, რომ სასამართლო ახალაიას საბოლოოდ გაამართლებს

დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის თქმით, გამამართლებელმა განაჩენმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქმე პოლიტიკურად მოტივირებული იყო.

„ქართულმა სასამართლომ ბაჩო ახალაიას მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, რითიც დაადასტურა, რომ ბრალდება სიცრუე და მხოლოდ პოლიტიკურად მოტივირებული იყო. მინდა, ღრმა პატივისცემა გამოვხატო ქართული სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიმართ, რადგან ის მიღებული იყო უმაგალითო პოლიტიკური ზეწოლის ფონზე. ერთადერთი საქმე, რომელზეც ბაჩო ახალაის ბრალი ედება, ეს ციხის ბუნტის საქმეა, სადაც სამარცხვინო მოსამართლემ ჩხიკვაძემ, კრიმინალურ ავტორიტეტებთან ერთად, გამამტყუნებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. მწამს, რომ ეს გადაწყვეტილებაც საბოლოო ჯამში გაუქმდება,“ - აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ მანანა კობახიძის განცხადებით, «ქართულ ოცნებაში» პროკურატურასთან კითხვები აქვთ.

რა თქმა უნდა, კითხვები გვაქვს პროკურატურასთანაც, პროკურატურამ დასაბუთებული საქმე უნდა წაიღოს სასამართლოში. ჯობია, საქმე საერთოდ არ დაიწყო და ძიება არ დაიწყოს და საქმე არ აღიძრას, ვიდრე თვეების შემდეგ ჩვენ მივიღოთ გამამართლებელი განაჩენი. ახალაია კი არა, ვინც არ უნდა იყოს, თუ მისი დანაშაული არ მტკიცდება უტყუარი მტკიცებულებებით და თუ ეს მართლა თითიდან გამოწოვილია, რასაც მე ამ შემთხვევაში, ცხადია, გამოვრიცხავ, ბუნებრივია უნდა გამართლდეს ადამიანი,“ - აღნიშნა კობახიძემ „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას.

თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის მიუხედავად, კობახიძეს მაინც ეჭვი ეპარება, რომ ახალაიას წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს.

მისივე თქმით, პრობლემის მიზეზი ან სასამართლოა, რომელიც ყოფილი მმართველი გუნდის ზეწოლისგან ვერ თავისუფლდება, ან პროკურატურა, სადაც ძირითადი კადრები ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არიან დანიშნულები.

„იმდენი უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი ვიხილეთ წლების განმავლობაში, რა ტრანსფორმირება განიცადა სასამართლომ ამ მოკლე პერიოდში, როდესაც ასეთ პრაქტიკად ექცათ ეს ყველაფერი. ეს ან იმაზე მეტყველებს, რომ ისევ სასამართლოშია პრობლემა და ყოფილი მმართველი გუნდის გავლენისგან ვერ თავისუფლდებიან, ან პროკურატურაშია პრობლემა, სადაც ისევ და ისევ ძირითადი კადრები „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნულები არიან და ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება პროკურატურის დისკრედიტაციისთვის.

მიზეზი შეიძლება იმ პროკურორების მოქმედებაშიც არის საძიებელი, ვინც ვერ ახერხებს, რომ ბრალი დაამტკიცოს სასამართლოში. შესასწავლია, ვინ არიან, როდინდელი და ვის მიერ დანიშნულები და თუ ახლაც ადეიშვილის დაკვეთებს ასრულებენ ნაცმოძრაობის ყოფილი ლიდერების სასარგებლოდ, ეს ყველაფერი შესასწავლია. ამ შემთხვევაში კითხვები სასამართლოს წინაშეც მაქვს და პროკურატურის წინაშეც, ამ ყველაფერს დაფიქრება და შესწავლა სჭირდება - არის ეს პროკურატურის მხრიდან არაკვალიფიციურობის ბრალი ან მართლა ადეიშვილთან შეკრულების საბოტაჟთან გვაქვს საქმე თუ მართლა სასამართლო არ ახდენს ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას და ხომ არ არის „ნაცმოძრაობის“ გავლენის ქვეშ, - განაცხადა მანანა კობახიძემ.

აღნიშნულ საქმეზე 23 სხდომა ჩატარდა, მოწმის სახით დაიკითხა დაცვის 10 და ბრალდების 63 მოწმე, აქედან 7 დაზარალებული და 8 ბრალდებული.

თბილისის საქალაქო სასამართლო მხარეებს 14 დღის ვადაში გადასცემს დასაბუთებულ განაჩენს, რომლის გასაჩივრება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ერთი თვის ვადაში იქნება შესაძლებელი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, მიხეილ სააკაშვილს უფლება აქვს, ე.წ ციხის ბუნტის საქმეზე ბაჩო ახალაია შეიწყალოს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე კახა კოჟორიძის განცხადებით, სააკაშვილს ახალაიას შეწყალების უფლებამოსილება იმ საქმის მიმართ გააჩნია, რომელზეც გამამტყუნებელი განაჩენი უკვე დამდგარია.

„როგორც ვიცით, ბაჩო ახალაიას რამდენიმე ბრალდება აქვს წარდგენილი. იმ საქმის მიმართ, სადაც ის სასამართლოს განაჩენით დამნაშავედაა ცნობილი, პრეზიდენტს აქვს უფლება, შეიწყალოს,“ - აღნიშნა კოჟორიძემ.

თუმცა, ახალაიას ერთ-ერთი ადვოკატის დავით დეკანოიძის განცხადებით, შს და თავდაცვის ყოფილი მინისტრი არ აპირებს, პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართოს.

მისი თქმით, ბაჩო ახალაია ციხის ბუნტის საქმეზე თავს უდანაშაულოდ ცნობს და აპირებს საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის გამამტყუნებელი განაჩენი განსაზღვრულ ერთთვიან ვადაში სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს.

ადვოკატ გოგა ონიანის თქმით კი, მისი პოზიციაა რომ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა მიხეილ სააკაშვილს შეწყალების თხოვნით მიმართოს, რადგან, ონიანის განმარტებით, ბაჩო ახალაიას მორალურად საწინააღმდეგო არ უნდა ჰქონდეს, თუ მას პრეზიდენტი «კანონიერი ქურდების მიერ გამოტანილ განაჩენზე» შეიწყალებს.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ ბაჩო ახალაია პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართავს და პრეზიდენტი თუ შეიწყალებს, ახალი ბრალდებიდან გამომდინარე, შს და თავდაცვის ყოფილი მინისტრი მაინც პატიმრობაში დარჩება.

სანდრო გირგვლიანის საქმის გამო ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ წარდგენილ ახალ ბრალდებაზე პროცესი 18 ნოემბრისთვის ჩაინიშნა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

პარლამენტი პრეზიდენტ სააკაშვილის ბოლო ვეტოს დასაძლევად ემზადება

პირველი გვერდიდან

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე შალვა შავგულიძე, რომელიც კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია, პრეზიდენტის მოსაზრებას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნამდე გამოსაცდელი ვადა მრავალ ქვეყნაში მოქმედებს და ეს წესი საერთაშორისო აქტებით, ასევე ევროპული ქვეყნების კანონმდებლობებითაა გათვალისწინებული. როგორც შავგულიძე აღნიშნავს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოსამართლეები მაქსიმალურად ობიექტური კრიტერიუმებით შეფასდებიან და უვადოდ დასანიშნად ყველას თანაბარი შანსი ექნება.

სხდომაზე განხილული კიდევ ერთი კანონპროექტი კი კომიტეტის წევრებისთვის მისაღები არ აღმოჩნდა. მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს.

კანონპროექტის თანახმად, იმ პროფესიებს, რომელთა წარმომადგენლებიც ვალდებულნი არიან, საეჭვო გარიგებების არსებობის შემთხვევაში, ფინანსთა მონიტორინგის სამსახურს ინფორმაცია მიაწოდონ, ადვოკატიც ემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებული იქნება, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს საეჭვო გარიგების და, ზოგადად, ისეთი გარიგებების შესახებ შეატყობინოს, რომლებიც „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს.

კანონპროექტის მომხსენებელმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილე სანდრო ბარამიძემ კომიტეტის სხდომაზე აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ინიციატივის მომზადება საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორმა განაპირობა და მისი მიღების რეკომენდაციას ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ღონისძიებათა კომიტეტი და ევროკავშირი (ვიზების ლიბერალიზაციის გეგმის ფარგლებში) იძლევიან.

ბარამიძე იმასაც აღნიშნავს, რომ მას, როგორც ყოფილ ადვოკატს, კანონპროექტის მიმართ კითხვები გაუჩნდებოდა, თუმცა, მისი თქმით, საკანონმდებლო ცვლილება ვინმეს კონფიდენციალურობის პრინციპის გაუქმებას არ გულისხობს. **„ადვოკატს კლიენტთან კონფიდენციალურობის დაცვის უფლება აქვს. ხოლო, როგორ მოახერხებს იგი ამ კონფლიქტურ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას, ეს უკვე მის პროფესიონალიზმსა და პროფესიულ სინდისზეა დამოკიდებული,“** - აღნიშნავს სანდრო ბარამიძე.

პარლამენტარები კი მიიჩნევენ, რომ კანონპროექტი ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპს ეწინააღმდეგება, რაც ადვოკატისთვის უმთავრესია. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, მისთვის კონფიდენციალურობის პრინციპის შენარჩუნება პრიორიტეტულია. ქუცნაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში საეჭვო გარიგებების საქმეებზე ადვოკატებს ყველაზე ნაკლები წვლილი მიუძღვით. **„ყველზე მეტი ეჭვი ნოტარიუსებისა და ბანკების მიმართ იყო,“** - თქვა ქუცნაშვილმა.

კომიტეტის სხდომაზე ასევე განიხილეს «ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. უმრავლესობის წევრ გუგული მაღრაძის მიერ ინიცირებული პროექტის თანახმად, განისაზღვრება ძალადობის ახალი ფორმა - უგულებელყოფა, რომელიც ბავშვების მიმართ მშობლის მოვალეობის შეუსრულებლობას ითვალისწინებს. ძალადობის მსხვერპლს საშუალება ეძლევა, ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მიმართოს. დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლს ენიჭება უფლება, ისარგებლოს უფასო სამართლებრივი კონსულტაციით, უფასო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით უფასო იურიდიული დახმარებით.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებმა კანონპროექტის და მისი თანმდევი კანონპროექტების პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით გატანას მხარი დაუჭირეს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტს პლენარულ სხდომაზე საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის შესახებ გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღია. პარლამენტში ინიცირებული პროექტები საკანონმდებლო ორგანოს ადგილსამყოფელისა და კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ.

საკუთარი ინფორმაცია

ირაკლი შიხიაშვილი უგულავას იმპიჩმენტით ემუქრება

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა გუშინ საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თუკი თბილისის მერი საკრებულოს იგნორირებას გააგრძელებს, მისი იმპიჩმენტის საკითხი უნდა დადგეს.

შიხიაშვილი ამბობს, რომ საზოგადოებას ნებისმიერი პირის გადაყენების უფლება უნდა ჰქონდეს, მათ შორის თბილისის მერისაც და მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, იქნება თუ არა ჩაწერილი კანონში თბილისის მერის იმპიჩმენტის საკითხი.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, მისთვის მთავარია, დედაქალაქის მერმა თავისი უფლება-მოვალეობები შეასრულოს და საკრებულოსა და თბილისის მერიას შორის სწორი თანამშრომლობა შედგეს.

როგორც შიხიაშვილი აღნიშნავს, დედაქალაქში ერთპიროვნული მმართველობა არ უნდა არსებობდეს და უნდა იყოს პოლიტიკურ ძალთა ბალანსი, დედაქალაქის მერი არ უნდა ქმნიდეს სსიპ-ებს და შპს-ებს და ასევე ერთპიროვნული გადაწყვეტილებით არ უნდა აუქმებდეს მათ.

შიხიაშვილის თქმით, კანონმდებლებმა კანონში უნდა შეიტანონ ისეთი ცვლილებები, რომლებიც დედაქალაქის პოლიტიკურ მმართველობას სამართლებრივ ნორმებში მოაქცევს.

ირაკლი შიხიაშვილის აღნიშნულ განცხადებას თბილისის მერია გამოეხმაურა. მერიაში ამბობენ, რომ საკანონმდებლო საკითხების შესახებ საკრებულოს შეთავაზებები აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის კრიზისს გამოიწვევს.

„საკრებულოს შემოთავაზებული პირინციპები აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის კრიზისს გამოიწვევს. ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება ქვეყნისა და საერთაშორისო თვითმმართველობების პრინციპებს და ნორმებს. ეს ყველაფერი არის ალოგიკური და გაუაზრებელი,“ - განაცხადა თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი აბესაძემ.

თბილისის საკრებულოს უმცირესობის წევრ მამუკა ახვლედიანის თქმით კი, ახალი უმრავლესობა მუქარის ენით საუბრობს.

„რაც ახალი უმრავლესობა გვყავს, მას შემდეგ გვესმის მუქარანარევი და ირონიული განცხადებები, რომ ჩვენ გარეშე მერია ვერსად ვერავის დანიშნავს. საკრებულოს თავმჯდომარე იტყვის, რომ შენ დაგიბარებენ პროკურატურაში და პროკურატურაში იბარებენ. გამგეობას ან რომელიმე სამსახურს ეტყვის, რომ შემოწმება შევა და ეს შემოწმება შედის; ამბობენ, რომ კანონებს შეცვლიან და ამ კანონების ინიცირება იწყება. შთაბეჭდილება მექმნება, რომ სახელმწიფო ინსტიტუციები შიხიაშვილის დაკრულზე ცეკვავენ,“ - განაცხადა მამუკა ახვლედიანმა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომას დავით ნარმანია დაესწრო

გუშინ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია დაესწრო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ დავით ნარმანიას აფხაზეთის მთავრობის ახალი შემადგენლობა გააცნო. შეხვედრაზე დევნილთა სფეროში მიმდინარე პრობლემებზე, მათი მოგვარების გზებსა და სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს.

დავით ნარმანიამ ავტონომიის მთავრობის წევრებს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მიმდინარე და სამომავლო პროექტები, მათ შორის დევნილთა მიმართულებით დაგეგმილი და განსახორციელებული პროგრამები გააცნო. როგორც ნარმანია აღნიშნავს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომებს დაესწრებიან. **კომისია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გამყოფ ხაზთან არსებული პრობლემებისა და დევნილების საკითხების მოგვარებაზე მუშაობს. კომისიაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები სათათბირო ხმის უფლებით ჩაერთვებიან,“** - თქვა დავით ნარმანიამ.

ავტონომიის მთავრობის სხდომაზე შვიდი საკითხი განიხილებოდა, მათ შორის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონში ცვლილებების შეტანის პროექტი. როგორც ვახტანგ ყოლბაია ამბობს, ერთი სამინისტროს გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, ახლა კი ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროების შერწყმა იგეგმება.

საკუთარი ინფორმაცია

ისრაელთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე გადაწყვეტილება მიღებულია

ისრაელთან სავიზო რეჟიმი გაუქმდა, - ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ გააკეთა, სადაც ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონულ ამბასადორიალში მიიღო მონაწილეობა.

ამბასადორიალის შემდეგ ივანიშვილმა შეხვედრა გამართა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზეევ ელკინთან. სავიზო რეჟიმის შესახებ გადაწყვეტილება სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

როგორც ჟურნალისტებს ზეევ ელკინმა განუცხადა, სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ პრინციპული გადაწყვეტილება მიღებულია, ხოლო ტექნიკურ საკითხებზე მოლაპარაკება საქართველოს შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან გაიმართება.

მდინარე კისისხევთან საავტომობილო ხიდი ჩაინგრა

წუხელ, გვიან ღამით, თელავი-ბაკურციხე-თბილისის მთავარი მაგისტრალის წინანდლის მონაკვეთზე, მდინარე კისისხევთან, საავტომობილო ხიდის ერთი ნაწილი ჩაინგრა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ინციდენტის დროს ხიდზე „მერსედესის“ მარკის ავტომობილი დაზიანდა, მძღოლი კი უვნებელი გადარჩა.

მთელი ღამის განმავლობაში ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და საგზაო დეპარტამენტი.

ხიდის ჩანგრევის მიზეზებს ექსპერტები შეისწავლიან, მაგისტრალზე მოძრაობა ცალმხრივად აღდგენილია, საგზაო სამახურის ინფორმაციით, ხიდის რეაბილიტაციას თვენახევარი დასჭირდება.

პრეზიდენტის ბოლო შეწყალების აქტს შსს უკიდურესად შემაშფოთებლად მიიჩნევს

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ შეწყალებულ პირთა უმეტესობა სასჯელს მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა. უფრო კონკრეტულად, შეწყალებულთა შორის არიან: განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის მსჯავრდებული 15 პირი, განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდებული 4 პირი (აქედან 12 პირი სრულად გათავისუფლდა სასჯელისაგან - ყველა მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის), ყაჩაღობისთვის მსჯავრდებული 32 პირი (უმრავლესობა მსჯავრდებულია დანაშაულთა ერთობლიობისთვის. მათგან 13 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას მიეკუთვნება), ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებული 70 პირი (მათგან უმრავლესობა რეალიზატორია ანუ ის პირები, რომელთაც არ შეეხოთ წინა ამნისტია. 70-ვე მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის), ქურდობისთვის მსჯავრდებული 27 პირი (მათგან ნაწილი მსჯავრდებულია დანაშაულთა ერთობლიობისთვის), ძარცვისთვის მსჯავრდებული 6 პირი, მითვისება/გამოძალვისთვის მსჯავრდებული 30 პირი (მათგან ნაწილი მსჯავრდებულია დანაშაულთა ერთობლიობისთვის), სამოხელეო დანაშაულისთვის მსჯავრდებული 6 პირი (მათგან 3 ქრთამისთვის მსჯავრდებული), ასევე შეწყალებულია გაუფრთხილებელი დანაშაულისთვის მსჯავრდებული 9 პირი და სხვა დანაშაულებისთვის მსჯავრდებული 15 პირი (თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება, პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ხულიგნობა, კონტრაბანდა, გადასახადისთვის თავის არიდება, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა და სხვ).

ამასთან, შეწყალებულთა შორის 53-ს სასჯელი გაუნახევრდა, ხოლო 4-ს შეუმცირდა. 122 პირი გასამართლებულია 2012 წლის 2 ოქტომბრამდე.

აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს. როგორც უწყების პრესსამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი აცხადებს, შსს პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ შეწყალებას „ყოვლად უპასუხისმგებლო და უკიდურესად შემაშფოთებელ გადაწყვეტილებად“ აფასებს. „შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის კატეგორიულად მიუღებელია შეწყალების ეს ფაქტი. პრეზიდენტის გადაწყვეტილება არის ყოვლად უპასუხისმგებლო და უკიდურესად შემაშფოთებელი, ვინაიდან შეწყალებულთა უმეტესობა სასჯელს მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა. აქვე მინდა, შევახსენო საზოგადოებას, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში პრეზიდენტმა 2204 პირი შეიწყალა, რომელთა შორისაც მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული პირები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში განმეორებითი დანაშაულისთვის სამართალდამცველებმა 240 პირი დააკავეს,“ - განაცხადა ნინო გიორგობიანმა.

ტაინანმენის ინციდენტი «ტერორისტული თავდასხმა" იყო

რამდენიმე დღის წინ პეკინში, ტიანანმენის მოედანზე მომხდარი ინციდენტი, რასაც 5 ადამიანი ემსხვერპლა, პოლიციამ «ტერორისტულ თავდასხმად" შეაფასა, რის გამოც 5 ეჭვმიტანილი დააკავეს. «თავდასხმა, რომლის დროსაც 5 ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა, წინასწარ დაგეგმილი და ორგანიზებული იყო," - ნათქვამია პოლიციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. «სი-ენ-ენ"-ის ინფორმაციით, პოლიციამ დაკავებულების სახლში დანები და «ჯიჰადის" დროშები აღმოაჩინა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ თავდასხმა, შესაძლოა, უიგურების მიერ იყო ორგანიზებული. «უიგურების მსოფლიო კონგრესის" წარმომადგენელმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ უცნობია, მონაწილეობდნენ თუ არა მომხდარში უიგურები: «ყოველთვის, როდესაც ჩინეთში რამე ხდება, ხელისუფლება უიგურებისკენ იშვერს თითს," - აღნიშნა ეიმ სეიტოფმა.

ეგვიპტელმა სტუდენტებმა „მუსლიმი ძმების" ლიდერის დაკავება გააპროტესტეს

«მუსლიმი ძმების" პოლიტიკური ფრთის ერთ-ერთი ლიდერის ესამ ელ-რიანის დაპატიმრების შემდეგ კაროის ალ-აზარის უნივერსიტეტის სტუდენტებმა საპროტესტო გამოსვლა გამართეს. პოლიციამ მათ დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. «როიტერი" ეგვიპტის უსაფრთხოების ძალებში თავის წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ პოლიციამ 20 სტუდენტი დაიკავა. არმიის მიერ მოქმედი პრეზიდენტის მოჰამედ მურსის გადაყენების შემდეგ ქვეყანაში „მუსლიმი ძმების" წევრთა მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო. ამ მოძრაობის მხარდამჭერები მურსის პრეზიდენტად დაბრუნების მოთხოვნით საპროტესტო გამოსვლებს მართავენ. დემონსტრანტებსა და უსაფრთხოების ძალებს შორის დაპირისპირებას ასობით ადამიანი შეეწირა.

«ფორბსმა" პუტინი ყველაზე გავლენიან ადამიანად დაასახელა

ჟურნალმა «ფორბსმა" რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანად დაასახელა. 2012 წლის რეიტინგში პუტინს მესამე ადგილი ეკავა, მის წინ ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი იდგნენ. 2013 წლის რეიტინგში პუტინს ამერიკისა და ჩინეთის პრეზიდენტები მოჰყვებიან. ჟურნალის რუსული რედაქციის ხელმძღვანელმა ელიზავეტა ოსეტინსკაიამ «ბი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ რეიტინგი ამერიკული რედაქციის მიერ არის შედგენილი.

ისრაელის ჯარისკაცებმა შეტაკებისას დასავლეთ ნაპირზე პალესტინელი მოკლეს

პალესტინელი ექიმებისა და თვითმხილველების ცნობით, ხუთშაბათს ისრაელმა სამხედროებმა მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე დაპირისპირების დროს პალესტინელი მოკლეს. ისრაელის არმიის წარმომადგენლის თქმით, ჯარისკაცები დასავლეთ ნაპირზე რეიდს ახორციელებდნენ, როდესაც მათ, დაახლოებით, 50-მა პალესტინელმა ცეცხლი გაუხსნა. 21 წლის აჰმედ იმად იუსუფი დაპირისპირების დროს დაიღუპა. ადგილობრივების ცნობით, იუსუფი სამხედრო არ ყოფილა და ბოსტნეულის მაღაზიაში მუშაობდა. მას შემდეგ, რაც ვაშინგტონის შუამავლობით ისრაელსა და პალესტინას შორის სამი წლის წინ შეწყვეტილი სამშვიდობო მოლაპარაკებები განახლდა, შვიდი პალესტინელი და ისრაელის სამი მოქალაქეა მოკლული.

ერაყში «ლუკოილის" პროექტით ყველა კმაყოფილი არ არის

შეიხ მანსურ ჰამიდ ალ-იმარა, რომელიც ერაყში ნავთობის ახალ ქარხანასთან ახლოს ცხოვრობს, იმედოვნებს, რომ მის სოფელში რუსული კომპანია «ლუკოილის" შესვლა ღარიბ მოსახლეობას უკეთეს ცხოვრებას მოუტანს. «როდესაც ლუკოილის ქარხანაში შუქი ანთია, ჩვენთვის ეს უკვე გამარჯვებაა. ჩვენს ქვეშ ნავთობის დიდი მარაგია და ამ რესურსიდან ჩვენ სარგებლის მიღება გვსურს. ჩვენი ტომის მოსახლეობა კი პირველები უნდა იყვნენ მათ შორის, ვინც აქ დასაქმდება," - აღნიშნავს ალ-იმარი. დასავლეთ ქურნა-2 მსოფლიში სიდიდით მეორე, ჯერ აუთვისებელი ნავთობის საბადოა. «ლუკოილი", რომელმაც ერაყში შესვლა ორი წლის წინ დაიწყო, აცხადებს, რომ 11 000 დასაქმებულიდან ორი მესამედი ერაყელია. «ლუკოილმა, სხვა უცხოურ კომპანიებთან შედარებით, ყველაზე დიდი საქმე გააკეთა, როდესაც საუბარი სოციალური განვითარების პროექტებს ეხება," - აღნიშნავს «ლუკოილის" პარტნიორი ერაყული კომპანიის «SOC"-ის უსაფრთხოების მენეჯერი იბრაჰიმ ალ-მალიკი.

თუმცა, კომპანიების მოსაზრებას არ იზიარებს შეიხი ქაჰთანი. მისი თქმით: «მე «ლუკოილის" შემოსვლით კმაყოფილი არ ვარ. მათ ადგილობრივებიდან ძალიან ცოტა ხალხი დაასაქმეს. მათ დღეში 12 საათს ამუშავებენ და თვეში, დაახლოებით, 1000 დოლარს უხდიან." როგორც «ლუკოილის" წარმომადგენლები აცხადებენ, ისინი ადგილობრივების დასასაქმებლად ახალ გზებს ეძებენ.

ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები ბაქოში შეიკრიბებიან

მომავალი კვირის დასაწყისში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები ბაქოში ჩავლენ. 21 ოქტომბერს ბაქოში უკვე იმყოფებოდა ამერიკის წარმომადგენელი ჯეიმს უორლიკი. «ეხო კავკაზას" ცნობით, ჯეიმს უორლიკი (ამერიკა), იგორ პოპოვი (რუსეთი) და ჟაკ ფორი (საფრანგეთი) ვიზიტის ფარგლებში აზერბაიჯანის ოფიციალურ პირებს შეხვდებიან. შეხვედრაზე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების გზებს განიხილავენ.

მოამზადა თამთა კახაძემ

უკრაინის ევროინტეგრაცია კვლავ საფრთხეშია ტიმოშენკოს გამო

პირველი გვერდიდან

ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული როგორც უკრაინელ ოპოზიციონერებს, ასევე მთავრობას და მის მომხრეებს. თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, გადაწყვეტილების მიღება ჭიანურდება. შესაბამისი პროცედურების გასავლელად, ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილების არსებობის პირობებშიც კი, სულ უფრო ცოტა დრო რჩება.

მოთმინებას კარგავენ ბრიუსელშიც. იანუკოვიჩს „პატიოსან სიტყვაზე" არავინ ენდობა. გუშინ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ განაცხადა, რომ უკრაინამ ყველა მოთხოვნის შესრულება ვილნიუსის სამიტამდე უნდა მოასწროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელმოწერა ვერ შედგება და გაისისთვის გადაიდება. სიკორსკი, თავის შვედ კოლეგა კარლ ბილდტთან ერთად, საშუამავლო ფუნქციებს ასრულებს და ოფიციალურ კიევთან მოლაპარაკებაში უშუალოდ არის ჩართული. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი ვილნიუსში 28-29 ნოემბერს ჩატარდება.

უკრაინაში ევროინტეგრაციის საკითხზე რეფერენდუმის გასამართად ხელმოწერებიც გროვდება, მაგრამ ეს სწრაფად ვერ მოხდება და რეფერენდუმის დადებითი პასუხიც კი ავტომატურად არაფერს გადაწყვეტს. საჭიროა ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან ნების გამოვლენა და დასავლეთის პირობების დაკმაყოფილება.

ტიმოშენკოს გათავისუფლების ვარიანტებს უკრაინის მმართველი პარტია და ოპოზიცია განსხვავებულად უყურებენ და ესეც, ხელისუფლების პოლიტიკურ ნებასთან ერთად, გარკვეულ პრობლემას ქმნის. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ექს-პრემიერი უნდა გაუშვან სამკურნალოდ უცხოეთში, კონკრეტულად ბერლინის კლინიკა „შარიტეში", რომლის ექიმებიც ახლაც აკონტროლებენ მის მკურნალობას ხარკოვის კლინიკაში. ამაზე კონსენსუსი მთავრდება და პოლიტიკური დაპირისპირება იწყება.

ტიმოშენკოს მომხრეები მიიჩნევენ, რომ მათი ლიდერი სამკურნალოდ თავისუფალი ადამიანის სტატუსით უნდა გაემგზავროს, იდეალურ ვარიანტში - 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებით. ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერჯერობით იქით იხრებიან, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ტიმოშენკო უკრაინის ციხეში უნდა დაბრუნდეს. ამას გარდა, ბერლინის კლინიკაში ყოფნის დროსაც მან, უბრალოდ, უნდა იმკურნალოს, არ უნდა დაკავდეს პოლიტიკური საქმიანობით და არ უნდა არიგებდეს ინტერვიუებს.

ტიმოშენკოს გათავისუფლების რამდენიმე, კერძოდ ექვსი ვარიანტი არსებობს და პრინციპში ყველაფერი ხელისუფლების ნებასა და არჩევანზეა დამოკიდებული. ამ ვარიანტებიდან თითოეულს თავისი სამართლებრივი და საკანონმდებლო პროცედურაც აქვს და ამიტომ გადაწყვეტილება უკვე ძალიან მალეა მისაღები.

პირველია ნაწილობრივი შეწყალება - ეს ნიშნავს, რომ ტიმოშენკოს ციხიდან გაათავისუფლებენ, მაგრამ მას დარჩება გადასახდელი ჯარიმაც და სახელმწიფო თანამდებობების დაკავებაზე სამწლიანი აკრძალვაც. თავიდან „პანი იულია" იანუკოვიჩისგან შეწყალების მიღებას და შესაბამისი თხოვნის დაწერას საერთოდ არ აპირებდა. თუმცა ბოლო მოლაპარაკებების შემდეგ, რომელიც ექს-პრეზიდენტების პეტ კოკსის და ალექსანდრ კვასნევსკის შუამავლობით მიმდინარეობდა, ტიმოშენკო შეწყალებაზე დათანხმდა. ამ შეწყალებასაც ფორმალობები ეღობება წინ, მაგრამ ის დაძლევადია.

მეორე ვარიანტია პარლამენტში კანონის მიღება, რომელიც მართლმსაჯულების სისტემას ტიმოშენკოს უცხოეთში სამკურნალოდ გაშვების უფლებას მისცემს. რადაში ორი კანონპროექტი უკვე დარეგისტრირებულია. ისინი „დამოუკიდებელმა" დეპუტატებმა მოამზადეს, რომლებიც წინა მოწვევის პარლამენტში ტიმოშენკოს სიით მოხვდნენ, მაგრამ ახლა არაფორმალურად იანუკოვიჩის ბანაკში მოიაზრებიან. ორივე კანონპროექტი, მცირეოდენი განსხვავებებით, გულისხმობს ისევ სამკურნალოდ გაშვებას და შემდეგ ციხეში დაბრუნებას. ამ ვარიანტებზე, რომლებსაც „მკურნალობა ბორკილებში" უწოდეს, უკრაინელი ოპოზიციონერები არ თანხმდებიან. ამაზე, სავარაუდოდ, არც ევროკავშირი წავა.

მესამე ვარიანტია ინდივიდუალური ამნისტია. შესაბამისი კანონი ისევ პარლამენტმა უნდა მიიღოს. ამის შესახებ წინა კვირაში თვით ტიმოშენკომ განაცხადა, მაგრამ დასძინა, რომ ეს შემთხვევაც კოკსი-კვასნევსკის მისიასთან უნდა იყოს შეთანხმებული. წინა კვირაში სამივე ოპოზიციური ფრაქციის ლიდერმა რადაში დაარეგისტრირა შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ მსჯავრდებულის ამნისტიას ანუ დაუყოვნებლივ ციხიდან გაშვებას, რომელთა მიმართაც საერთაშორისო სასამართლოები ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას დააფიქსირებენ. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს აპრილის გადაწყვეტილებაში ტიმოშენკოს მიმართ ეს უკვე ნათქვამია. ამ ვარიანტის მიღებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს ხელისუფლება.

მეოთხე ვარიანტია იმ მუხლის დეკრიმინალიზაცია, რომლითაც ტიმოშენკოს ციხე მიუსაჯეს. ამისკენ ევროპა უკრაინას დიდი ხანია, მოუწოდებს და სურვილის შემთხვევაში ყველაზე მარტივად ამ კანონპროექტის დაყენება შეიძლება კენჭისყრაზე კიდევ ერთხელ (უკვე მესამედ თუ მეოთხედ).

მეხუთე ვარიანტია ტიმოშენკოს სასჯელის გაუქმება უკრაინის უმაღლესი სასამართლოს მიერ და მეექვსე - ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. პარლამენტმა ყველა წარდგენილი კანონპროექტი მომავალ კვირაში უნდა განიხილოს.

ამასობაში კი რუსეთის და უკრაინის ურთიერთობები სულ უფრო იძაბება. კრემლი ცდილობს, უკრაინის ევროინტეგრაციას ყველანაირად შეუშალოს ხელი. ოფიციალური კიევი კი, როგორც ჩანს, უკვე სერიოზულად ფიქრობს, მოსკოვის პოლიტიკური დიქტატისა და რუსეთის გაზზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლდეს. გაზის მიწოდების დივერსიფიკაციაზე უკრაინა უკვე აქტიურად მუშაობს. ამ ეტაპზე ერთი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმაა საჭირო - ტიმოშენკო უნდა გაუშვან.

სირიამ ქიმიური იარაღის ქარხნები გაანადგურა

პირველი გვერდიდან

ორი მათგანის შემოწმება, მდებარეობიდან გამომდინარე, ძალიან საშიში იყო, იქ მიმდინარე ბრძოლების გამო, თუმცა ამ ობიექტებზე არსებული ქიმიური აღჭურვილობები თვთონ სირიელებმა უკვე სხვაგან გადაიტანეს. იქ შეამოწმეს ორგანიზაციის ექსპერტებმა ეს განადგურებული მოწყობილობები.

სექტემბერში დამასკომ სირიაში არსებული ქიმიური იარაღის განადგურების პირობა დადო. ამას კი წინ 21 აგვისტო უძღოდა, როდესაც დამასკოსთან ახლოს ქიმიური იარაღის გამოყენებას 1400 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ქალები და ბავშვები.

პირველ ნოემბერს იწურებოდა ვადა, როდესაც სირიას ქიმიური იარაღის წარმოების საშუალებები და მათი საბრძოლო მდგომარეობაში გადაყვანის მოწყობილობები უნდა გაენადგურებინა. იგულისხმება ყუმბარებში და რაკეტებში ჩატუმბვის ტექნიკური საშუალებები. ქიმიური იარაღის მარაგის - მზა მომწამვლელი ნივთიერებების და მათი კომპონენტების განადგურების პროცესი კი ახლა უნდა დაიწყოს და 2014 წლის ივნისის ბოლოსთვის დამთავრდეს.

მშვიდობიან სირიელებს კი პრობლემები არ ელევათ. ასობით ადამიანს, ვისაც სირიაში არსებული სისხლისღვრისგან გაქცევა სურს, იორდანიის საზღვრის გადაკვეთა აღარ შეუძლია - ამის შესახებ ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციის «ემნესტი ინტერნეიშენალის" მოხსენებაშია საუბარი.

იმ ხალხს შორის, რომლებსაც იორდანიაში აღარ უშვებენ, არიან სირიაში მცხოვრები პალესტინელები და ერაყელები, დოკუმენტების არმქონე პირები და ისინი, ვისაც იორდანიაში ნათესავები არ ჰყავს. უფლებადამცველების თქმით, მსგავსი ვითარება სირიის სხვა საზღვრებზეც ფიქსირდება. თუმცა, «ბი-ბი-სის" ინფორმაციით, იორდანიის მთავრობა კვლავ აცხადებს, რომ სირიელი ლტოლვილებისთვის საზღვარი ღია რჩება.

სირიაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც, გაეროს მონაცემებით, 110 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა, 2 მილიონზე მეტი ადამიანი ლტოლვილად იქცა, ქვეყნის შიგნით კი საცხოვრებელი ადგილის მიტოვება 4 მილიონზე მეტ ადამიანს დასჭირდა.

ხუთშაბათსვე «როიტერი" დასავლელ და არაბ მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით წერდა, რომ სირიის შესახებ სამშვიდობო მოლაპარაკება, რომელიც ნოემბერში ჟენევაში უნდა გამართულიყო, შესაძლოა, კიდევ გადაიდოს, რისი მიზეზიც ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის უთანხმოებაა. ცნობისათვის - ამერიკა და რუსეთი ამ კონფერენციის ორგანიზატორები არიან.

«როიტერის" ინფორმაციით, მოსკოვი და ვაშინგტონი კონფერენციაზე ოპოზიციის დასწრების საკითხზე ვერ თანხმდებიან. კონფერენციას დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი «სირიის ეროვნული კოალიცია" უნდა დაესწროს. თუმცა, რუსეთი აცხადებს, რომ ეს ჯგუფი სირიის ოპოზიციის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს და შეხვედრას სხვა დელეგაციებიც უნდა ესწრებოდნენ. აღნიშნულ საკითხზე ამერიკისა და რუსეთის ელჩები ჟენევაში მომდევნო სამშაბათს გამართავენ შეხვედრას.

სირიის ვიცე-პრემიერმა კადრი ჯამილმა კი, რომელიც ცოტა ხნის წინ ამერიკელ დიპლომატ რობერტ ფორდს შეხვდა, განაცხადა, რომ, მისი აზრით, კონფერენცია «23 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე გაიმართება". გუშინ «24 საათი" უკვე წერდა, რომ კადრი ჯამილი, რომელიც სირიის მთავრობაში ზომიერ ოპოზიციას წარმოადგენდა, სირიის სახელმწიფო ტელევიზიის ინფორმაციით, თანამდებობიდან გაათავისუფლეს - სავარაუდოდ, სწორედ რობერტ ფორდთან შეხვედრის გამო. თუმცა ეს, გუშინდელი მონაცემებით, თვით ჯამილისთვის ოფიციალურად არ შეუტყობინებიათ.

რობერტ დე ნირო, კლეირ შერმანი, ალექსი უორთი, იზაბელ ბიშოპი, ბარბარა ტაკენაგა და სხვები

პირველი გვერდიდან

აი, მაგალითად, ამას წინათ DC Moore გალერეაში აღმოჩენილი ალექსი უორთი (1964). პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე, არტკრიტიკოსი, კურატორი, რომლის ხელოვნების კონცეპტუალიზმზე წამყვანი ამერიკული გამოცემები წერენ. მისი ფოტოგრაფიების ილუსტრირებული სტილი ორაზროვანი სექსუალური ქარაგმების რებუსებია. სხვათა შორის, გავლენიანმა ჟურნალმა AtrForum -მა მის 2011 წლის გამოფენას წლის საუკეთესო შოუ უწოდა. მე, მაგალითად, მომწონს მისი ნახატები „დაჭმუჭნული ქაღალდების“ სტილში. თითქოს „მოკუმულ“ მუშტში მარტო ქაღალდები კი არა, თითებთან ერთად სიტყვები, ასოები იგრიხება. ალექსი უორთი მხატვრული ელემენტების მქონე ფოტოების ავტორია - ანდა უფრო სწორედ - ფოტოგრაფიის ელემენტების მქონე მხატვრული ტილოების. თითები, რომლებსაც გაჭრილი ვაშლი უჭირავთ ანდა თითების ბალიშებში „მომწყვდეული“ შავი რგოლი; სარკეში არეკლილი პროფილი სიგარეტით პირში; კუთხეში ჩვენსკენ ზურგით მდგომი მამაკაცი, რომელიც ჭიქიდან წყალს სვამს და რომლის მოტვლეპილი თავი ერთი შეხედვით წრეს ჰგავს; ქალის მხარი, მასზე მიდებული მამაკაცის ასეთივე ხორცისფერი, უთმო თავი და ორივეს თითები; კედლისა და სარკეების კუთხეები... თითქოს იუმორისტული, მაგრამ ამავე დროს სიურეალისტური, გეომეტრიული, იუმორნარევი და აბსტრაქტული კონტურები - მხატვრობისა და ფოტოგრაფიის საინტერესო და ორიგინალური შეხამება. ალექსი უორთი იხსენებს, რომ ერთხელ მისი სახლის ახლოს „ვიქტორია სიკრეტის“ მოდელის ფოტოსესია გაიმართა. ქალის გარშემო უამრავი ხალხი შეიკრიბა, პროფესიონალი ფოტოგარფების გარდა ყველას გარშემო აიფოენები ეჭირა და ყველა იღებდა. მხოლოდ ერთი ადამიანი არ იღებდა - სუპერმოდელი. ოცი წლის წინ ჩვენ გვეგონა, რომ ფოტოგრაფია ყველგან სუფევდა. სინამდვილეში კი ჩვენ დღეს „ხელახლა აღმოვაჩენთ“ ფოტოგრაფიას, ისევე როგორც ეს 1850 წელს იყო. მაგრამ რას ნიშნავს ეს მხატვრობისთვის? ალბათ, ფატალიზმს. იმას, რომ რომ ჩვენ მხატვრობის დასასრულის ეპოქაში ვცხოვრობთ.

სამხატვრო ერის ამგვარი მომავლის შესახებ, ალბათ, არასოდეს უფიქრია მხატვარ რობერტ დე ნიროს (1922-1993), რომლის ტილოებსაც გალერეა „დისი მური“ არც ისე დიდი ხნის წინ მასპინძლობდა. მისი სეხნია, 70 წლის შვილი, ცნობილი მსახიობი რობერტ დე ნირო ამჟამად მამის ცხოვრების შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებს, რომელიც, როგორც თავად განაცხადა, ეკრანებზე მომავალ წელს, მამის დღისთვის (ნაციონალური დღესასწაული, რომელიც ივნისში აღინიშნება) გამოვა. შვილმა მშობლის სამხატვრო სტუდია ზუსტად ისე შეინახა, როგორიც იგი მამამისმა დატოვა, მოგვიანებით კი დე ნიროს სახელობის პრემიაც დაარსა. იგი მცირენლოვანებისას მამას ხშირად ვერ ნახულობდა, რადგანაც მშობლები ერთად არ ცხოვრობდნენ, ადრეულ ასაკში კი დიდად არც მისი მშობლის ხელოვნებით დაინტერესებულა, ახლა კი ამ ფილმით, როგორც თვად ამბობს, წარსულის კომპენსირებას ცდილობს. დე ნირო უფროსი, რომლის მეგობრები იყვნენ ტენესი უილიამსი, რობერტ დანკენი და ჰენრი მილერი, ცნობილი ამერიკელი აბსტრაქციონისტია. მის ხელოვნებაზეც დიდი გავლენა დელაკრუამ და მატისმა იქონიეს. დე ნირო კარიერის დასაწყისშივე ნიუ იორკში, გუგენჰაიმის გალერეაში ისეთ ცნობილი მხატვრებთან ერთად გამოიფინა (1945), როგორებიც იყვნენ ჯექსონ პოლოკი და მარკ როტკო. მისი ნახატები ექსპონირებულია მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან გალერეებში. სამწუხაროდ, დე ნიროს ხელოვნების პირველი პერიოდის ნახატები სტუდიაში გაჩენილი ხანძრის გამო დაიწვა. თუმცა ის, რასაც მისი მემკვიდრეობა წარმოადგენს - ფერწერა თუ გრაფიკა, განსაკუთრებული ექსპრესიულობითა და ფერების სოცოცხლით გამოირჩევა.

DC Moor Gallery - აში გამოფენილი მხატვრის, კლეირ შერმანის (1981) „პეიზაჟების შექმნის მოტივი“ არა რომელიმე სამხატვრო სტილი, არამედ - ფილოსოფიაა. სწორედ ფილოსოფოსების გავლენით ხატავს იგი ბუნებას. ქვები, ფოთლები, ბალახები, ღეროები, ხავსი, წაქცეული, დამწვარი, ნაფოტებათ ქცეული ხეები, თოვლი, წყალი, კაქტუსები, აქაიქ შემწვანებული კლდის კუთხეები, ღია და მუწი მწვანე ფერის მდელოები, წვრილღერიანი გვირილები და ეს ყველაფერი არა ფერმწერების, არამედ - კანტის, ბურკისა და ლიოტარის გავლენით. შერმანის ხის ქერქი, პატარა ბუჩქები, გრძელი ეკლების ხასხასა სიმწვანე თუ ყინულის, თოვლდაფარეული თეთრი ფილები საოცარ „სეზონურ განწყობას“ ქმნის. თითქოს სუნით გრძნობ გაზაფხულსაც და ზამთარსაც.

ამჟამად კი გალერეაში ორი ძალიან საინტერესო და ერთმანეთისგან განსხავებული სტილისტიკისა და ეპოქების ქალი მხატვრების - იზაბელ ბიშოპისა (1902-1988) და ბარბარა ტაკენაგას (1949) ტილოებია გამოფენილი. ბიშოპი XX საუკუნის ცნობილი რეალისტი მხატვარია, რომელიც უბრალო ადამიანებს - ჩვეულებრივ ნიუ იორკელებს, მუშებს, მოსამსახურეებს გამოსახავდა. ძირითადად - ქალებს მათი ორდინალური ცხოვრებითა და საქმიანობით - ქალაქის ქუჩებში, მეტროშო, კაფეებში, მაღაზიებში, პარკებში, კინოთეატრებში, საბილიარდოებში, ქარხნებში, ოფისებში. მის ნახატებში რემბრანდტისა და რუბენსის გავლენა იგრძნობა, ხოლო სპეციალისტები ბიშოპს XVII საუკუნის ჰოლანდიელ და ფლამანდრიელ მხატვრებსაც ადარებენ. მის ნამუშევრებს - უბრანულ ნახატებსაც უწოდებენ, სადაც ავტორი ქალაქური ეპიზოდების განწყობასა და იმ მომუშავე კლასის ცხოვრებას გამოხატავს, რომლებსაც ამერიკაში ცისფერსაყელოიანებს“ უწოდებდნენ. 16 წლის ასაკში დამწყები მხატვარი ილუსტრირების ოსტატობას ქალთათვის დაარსებულ გამოყენებითი დიზაინის სკოლაში სწავლობდა. მერე კი - „ხელოვანი სტუდენტების ლიგაში“, სადაც არტს კენეთ მილერთან და გაი ბოისთან ერთად „შტუდირებდა“. ბიშოპი მეგობრობდა ლამის ყველა მაშინდელ ცნობილ მხატვართან, მწერალთან თუ პოეტთან და ამიტომაც ინტერესემოკლებული არაა ხელოვანის ჩანაწერები ცნობილი ადამიანების შესახებ. ბიშოპმა ასევე გააფორმა ჯეინ ოსტინის წიგნის „სიამაყე და ცრურწმენა“ ერთ-ერთი გამოცემა.

ბარბარა ტაკენაგა ამერიკელი აბსტრაქციონისტი და ოპტიკური არტის ცნობილი წარმომადგენელია. არტკრიტიკოსები მის ხელწერაში ჩარლზ ბურჩვილდისა და როჯერ ბრაუნის გავლენას გრძნობენ. ტაკენაგას ნახატები წერტილოვანი ტალღების „ლივლივს, ვუზუალურ ჰალუცინაციას“, კოსმოსის ერთგვარ „ილუზორულ ფოტოს“ ჰგავს, სადაც „პატარა და დიდი ვარსკვლავები“ თავიანთი ჰარმონიით ცხოვრობენ და შორიდან დაკვირვებით მოძრაობის ეფექტს იძენენ. პირადად მე ამ ნახატებმა ხან სამედიტაციო მასალა მომაგონა, ხანაც ქიმიის გაკვეთილის ატრიბუტიკა - მოლეკულურ-ატომური კონფიგურაციები, რომლებსაც ზოგჯერ დამამშვიდებელი, ზოგჯერ კი „ფსიქოდელიური ტექსტი“ მოაქვთ. მხატვარი თითქოს წერტილების დასმის, მათი რიგის შექმნისა თუ სისტემურად მომიფანტვის ტექნიკოსია. იგი კოსმოსური სიმშვიდის, სიცარიელისა და სიცივის ასოციაციას ქმნის, განსაკუთრებით, მაშინ, როცა წერტილებისთვის თეთრს, ხოლო ფონად ლურჯსა და ცისფერ ფერებს იყენებს. ამგავრი ნახატები, ერთი შეხედვით, ვან გოგის „ვარკვლავებიან ღამედაც“ კი შეიძლება მოგეჩვენოთ ანდა სულაც ნეონურ განათებად. თავად მხატვარმა კი ხელოვნებისდამი მისი დამოკიდებულება საპნის ოპერის თხრობას შეადარა, სადაც დროის დიდ პერიოდებში არსებითად არაფერი ხდება; სადაც ცოცხლობს მითი ოდისევსის ერთგული ცოლის პენელოპას შესახებ, რომელიც თავის ქმარს დიდი ხნის განმავლობაში ელოდა, დღისით მოქსოვილ სუდარას ღამე არღვევდა და აბეზარ სასიძოებს ასე იშორებდა.

დავით კეზერაშვილი პატიმრობაში რჩება

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი საფრანგეთის სასამართლომ პატიმრობაში დატოვა.

ფრანგმა მოსამართლემ კეზერაშვილის ექსტრადიციის საკითხი 20 ნოემბრამდე უნდა განიხილოს, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის წინასწარი პატიმრობის ვადაც სწორედ ამ დრომდე გაგრძელდება. საქართველოს პროკურატურამ ექსტრადიციისთვის საჭირო მასალები საფრანგეთში უკვე გადააგზავნა.

საფრანგეთში საქართველოს ელჩის ეკატერინე სირაძე-დელონეს ინფორმაციით, ამ ეტაპზე სასამართლოს კეზერაშვილის ექსტრადირების საკითხზე არ უმსჯელია.

„ერთი საკითხია მისი გათავისუფლება და მეორე - როგორ განვითარდება ექსტრადიციის საკითხი, პროცედურები გართულებული იქნება თუ გამარტივებული. დავით კეზერაშვილს საელჩოსთვის არ მოუმართავს, შესაბამისად, საელჩოდან პროცესს არავინ დასწრებია,“ - განაცხადა ეკატერინე სირაძე-დელონემ.

ცნობისათვის:საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პარიზის და თბილისის ინტერპოლის ბიუროების თანამშრომლობის შედეგად, საფრანგეთში 14 ოქტომბერს დააკავეს.

დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ორი საქმეა აღძრული. თბილისის საქალაქო სასამართლოში მის წინააღმდეგ საქმეები განხილვის პროცესშია.

დავით კეზერაშვილს პროკურატურა ორ ეპიზოდში ედავება - ე.წ. სპირტის კონტრაბანდის და ტელეკომპანია „იმედის“ გასხვისების საქმეებზე, სადაც კეზერაშვილი დედაქალაქის მერ გიგი უგულავასთან ერთად არის ბრალდებული.

ამასთან, „იმედის“ გასხვისების საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ დავით კეზერაშვილს პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, დავით კეზერაშვილს ბრალად ედება: სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ქრთამის აღება, ორგანიზებული ჯგუფის მიერ საბაჟო წესების დარღვევა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფულის გათეთრება და უკანონო შემოსავლის მიღება.

ამასთან, დავით კეზერაშვილი, რომელიც საქართველოს თავდაცვის მინისტრი 2006 წლის 11 ნოემბრიდან 2008 წლის 5 დეკემბრამდე იყო, ისრაელის მოქალაქეცაა.

ჯონ მაკკეინი: მიხეილ სააკაშვილს აპლოდისმენტებით ვაჯილდოებ

სენატორმა ჯონ მაკკეინმა საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ კომენტარი გააკეთა და გიორგი მარგველაშვილს გამარჯვება მიულოცა. მაკკეინი იმედოვნებს, რომ საქართველოს ახალ მთავრობასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ისეთივე კონსტრუქციული თანამშრომლობა შედგება, როგორიც მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში არსებობდა:

«ვულოცავ გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას. არჩევნები თავისუფალი და გამჭვირვალე იყო. ეს დასკვნა ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებმა დადეს. ამ არჩევნებით ქართველმა ხალხმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა განვითარებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ.

მე ასევე აპლოდისმენტებით ვაჯილდოებ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს იმ ნაბიჯისთვის, რაც მან არჩევნების შემდეგ გადადგა და იმ მშვიდობიანი გზისთვის, რომლითაც მან ხელისუფლება გადასცა. საქართველო აგრძელებს რეფორმების განხორციელებას და განვითარებას, ეს კი დიდ წილად მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის დამსახურებაა. ამ შემთხვევაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიის განვითარების კუთხით: თავისუფალი არჩევნების ფონზე, ხელისუფლების მშვიდობიანად და დემოკრატიულად გადაცემა. ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა კოალიცია «ქართული ოცნებიდან», კარგად უნდა შეაფასოს ის, თუ როგორ მიიღეს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და «ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ» არჩევნებში დამარცხება.

მიუხედავად იმისა, თუ ვინ და რა პარტია მართავს საქართველოს, მე ძველებურად მხარს ვუჭერ ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებას. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს მრავალი საერთო ინტერესი აქვთ - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციიდან დაწყებული, სამხედრო თანამშრომლობით, საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვითა და მისი სუვერენული ტერიტორიების (რომლებიც არაკანონიერად აქვს ოკუპირებული რუსეთის ფედერაციას) გათავისუფლებით დამთავრებული. საქართველოს გამორჩეული მეგობარი ვარ და ვიმედოვნებ, რომ ჩემსა და საქართველოს ახალ მთავრობას შორის ისეთივე კონსტრუქციული თანამშრომლობა შედგება, როგორიც ადრე იყო,» - წერს მაკკეინი.



2013 წლის ოთხი დაბრუნება ჩოგბურთში

2013 წლის სეზონი აღინიშნა როგორც რამდენიმე გამოჩენილი მოთამაშის წასვლით ჩოგბურთიდან, ასევე მოულოდნელი და სასიამოვნო დაბრუნებების სერიით, რაც გვაიძულებს ვიწამოთ ნებისმიერი სასწაული. თითქმის ნებისმიერი.

მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 33 წლის)

ლეგენდარული შვეიცარიელი ტურში არ გამოჩენილა 2007 წლიდან და მაშინაც ვადამდე დაასრულა გამოსვლა. ეს ნაბიჯი საჭირო გახდა, რათა შეეწყვიტა კოკაინზე დადებით დოპინგ-ტესტთან დაკავშირებით დაწყებული მოკვლევა. ამის შემდეგ მარტინა კომენტატორობდა, მუშაობდა მწვრთნელად პატრიკ მურატოგლუს აკადემიაში და მოასწრო რუს ანასტასია პავლიუჩენკოვასთან მუშაობაც. 2013 წლის ზაფხულში ჰინგისმა გააოცა ჩოგბურთის სამყარო თავისი განცხადებით დაბრუნების თაობაზე, თუმცა, ჯერ მხოლოდ წყვილთა თანრიგში. დანიელა ჰანტუხოვასთან ერთად მან მონაწილეობა მიიღო ხუთ ტურნირში, მოიგო მხოლოდ სამი შეხვედრა, თუმცა, ბოლო შეხვედრაში, აშშ-ის ღია ჩემპიონატზე, მარტინა ტოლს არ უდებდა სარა ერანისა და რობერტა ვინჩის, რეიტინგის ტოპ-20 წევრებს. ბევრს სწამდა, რომ ახლო მომავალში ჰინგისი დაუბრუნდებოდა ერთეულთა თანრიგს - ამ მოსაზრებას ამყარებდა ერთი წლით უმცროსი სერენა უილიამსის მაგალითი. ტოკიოს ტურნირზე, სადაც შვეიცარიელმა თავის დროზე მოიპოვა ხუთი ტიტული, შესთავაზეს wild card, მაგრამ ბოლო მომენტში მარტინამ უარი განაცხადა. ჰინგისმა სეზონის ბოლომდე ტაიმ-აუტი აიღო. ჯერჯერობით გაურკვეველია, დაბრუნდება თუ არა ის 2014 წელს.

იონას ბიორკმანი (შვეცია, 41 წლის)

ცნობილმა შვედმა, იონას ბიორკმანმა, რომელმაც წარმატებას მიაღწია როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში, კარგად იცის, რა არის დიდი ხნის შემდეგ ტურში დაბრუნება. სწორედ ის იყო დიდი ჯონ მაკინროის მეწყვილე 2006 წელს, როდესაც მან რამდენიმე ტურნირი წყვილთა თანრიგში ჩაატარა. მაშინ მათი წყვილი სან-ხოსეს ტურნირის ჩემპიონი გახდა. 2008 წელს ბიორკმანმაც ოფიციალურად დაასრულა კარიერა, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ 41 წლის შვედმა გადაწყვიტა მაკინროისთვის მიებაძა და მონაწილეობა მიიღო If Stockholm Open ტურნირში. მისი პარტნიორია ქვეყნის საუკეთესო «მეწყვილე» რობერტ ლინდსტეტი. წყვილმა გაამართლა - პირველი წრის წარმატებით გავლის შემდეგ მეოთხედფინალში უნდა ეთამაშოს რუსი დმიტრი ტურსუნოვისა და ლატვიელი ერნესტ გულბისის დუეტს.

ალისა კლეიბანოვა (რუსეთი, 24 წლის)

რუსმა ჩოგბურთელმა, რომელმაც 2011 წელს ჩაიტარა ხოჯკინის ლიმფომის მკურნალობის კურსი, მომდევნო სეზონში მონაწილეობა მიიღო მაიამის სუპერტურნირში, სადაც მეორე რაუნდშიც კი გავიდა; მაგრამ ეს იყო ერთი ეპიზოდი, რომელმაც ალისა დაარწმუნა, რომ ტურში სრულყოფილი დაბრუნებისთვის კიდევ ბევრი შრომაა საჭირო. წელიწადზე მეტხანს კლეიბანოვა ვარჯიშობდა ინდივიდუალური პროგრამით. ბევრი ექსპერტის აზრით, ის ვერ გაძლებდა და დაასრულებდა კარიერას. მაგრამ რუსი ტრიუმფალურად დაბრუნდა: მაისში მოიგო თავისთვის სადებიუტო ITF ტურნირი ლენდსვილში, ზაფხულში დაიწყო WTA-ს ტურნირებში მონაწილეობა, ხოლო შემოდგომიდან ისევ განიხილებოდა როგორც სერიოზული, ანგარიშგასაწევი მეტოქე. ახალი სეზონიდან დაგეგმილია მსოფლიო რეიტინგის მწვერვალებისკენ აღმასვლა.

იოაჰიმ იუჰანსონი (შვედეთი, 31 წლის)

ამავე ტურნირზე განაახლა კარიერა კიდევ ერთმა ცნობილმა შვედმა - იოაჰიმ იუჰანსონმა. ამ შემთხვევაში ყველაფერი უფრო პროზაულად იყო. მსოფლიოს ყოფილ მეცხრე ჩოგანს რამდენიმე წლის განმავლობაში აწუხებდა ზურგის ქრონიკული ტკივილი და, დაბრუნების რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, 2011 წელს, იძულებული გახდა, დაესრულებინა კარიერა. გავიდა ორი წელი და «პიმ-პიმმა» (ამ თიკუნით არის ის ცნობილი ტურში) გადაწყვიტა განეახლებინა თამაში. იუჰანსონმა წარმატებით გადალახა If Stockholm Open ტურნირის საკვალიფიკაციო ბარიერი, ხოლო ოფიციალური ბადის პირველ წრეში დაამარცხა ძლიერი კოლუმბიელი ალეხანდრო ფალა. მისი თანამემამულეები, მათ შორის, რობინ სოდერლინგიც, აღფრთოვანებული არიან იუჰანსონის თამაშით და იმედი აქვთ, რომ ის მომავალ სეზონშიც განაგრძობს ტურში გამოსვლას. ტომი ჰაასის მაგალითი ხომ ადასტურებს, რომ თანამედროვე ჩოგბურთში 31 წელი კრიტიკული ასაკი არ არის.

ბონუსი - რობინ სოდერლინგი (შვედეთი, 29 წლის)

თვით სოდერლინგის საქმეები კი არც ისე კარგადაა. მსოფლიო რეიტინგის ყოფილი მეოთხე ნომერი უკვე მეორე წელია ებრძვის მონონუკლეოზს, მის შედეგებს და არ მონაწილეობს ტურნირებში. მას დღემდე სწამს, რომ შეძლებს დაბრუნებას, თუნდაც არა ძველ დონეზე, უბრალოდ ტურში, მაგრამ ყოველწლიურად ეს იმედი მცირდება. სამაგიეროდ რობინი აქტიურად არის დაკავებული ჩოგბურთთან დაკავშირებული საქმიანობით. ცოტა ხნის წინ სპორტსმენმა ოფიციალურად წარადგინა საკუთარი მარკის (RS) ბურთი, რომელიც გამოსადეგია ყველა ტიპის საფარზე. სოდერლინგის თქმით, «ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ უკვე მოიწონა ამ ბურთის დანერგვა, ასე რომ, მომავალში შესაძლებელია მისი გამოყენება როგორც დიდი სლემის ტურნირებზე, ისე ATP შეჯიბრებებზეც. ჩემი მთავარი იდეაა არა გამდიდრება ამ ბურთების გაყიდვით, არამედ ადგილობრივი კლუბებისთვის მათი მიწოდებით შვედური ჩოგბურთის მაქსიმალური ხელშეწყობა». თუ რობინი შეძლებს ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელებას, მომავალში აუცილებლად გამოჩნდებიან ახალი ბიორკმანები, იუჰანსონები და, შესაძლოა, სოდერლინგებიც.

განცხადება

2013 წლის 23 დეკემბერს 14 საათზე, ზესტაფონის რაიონი, სოფელი პირველი სვირში, საწარმოს ტერიტორიაზე გაიმართება შპს „DARI+“-ს დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის – „მანგანუმის გამამდიდრებელი ქარხნის“ გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ე.წ. ფეროშენადნობების „ქერქული ნარჩენების“ წიდის გადამუშავება-გამდიდრება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე: ზესტაფონის რაიონი, სოფელი პირველი სვირი, საწარმოს ტერიტორიაზე: ტელ: 599 56-38-82; 591 67-45-30.

დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე.

საზოგადოების მოსაზრების წარდგენის ბოლო ვადა (დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე) 2013 წლის 16 დეკემბერი

შპს "DARI+"-ის დირექტორი:

თეიმურაზ კამლაძე

მათ ვისაც შეიძლება ეხებოდეს

ჩემს სანოტარო ბიუროში 2013 წლის 27 სექტემბერს შემოსულია განცხადება სსიპ „საჯელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-დან სადაც ითხოვენ აწ გარდაცვლილ გოჩა ტურძელაძის (გარდაცვლილი 21.07.2012წ.) კუთვნილ უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, გლდანის დასახლების მე-6 მ/რ-ის ?29 კორპუსის ?22 ბინაზე როგორც უმკვიდრო ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემას.

თუ ვინმეს პრეტენზია გაგაჩნიათ აღნიშნულ ქონებაზე გთხოვთ მობრძანდეთ ქ. თბილისში, კოსტავას ქ. ?76-ში მდებარე სანოტარო ბიუროში შვიდი დღის განმავლობაში

ნოტარიუსი ნ. ბაკურაძე

მათ ვისაც შეიძლება ეხებოდეს

ჩემს სანოტარო ბიუროში 2013 წლის 2 ოქტომბერს შემოსულია განცხადება სსიპ „საჯელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-დან სადაც ითხოვენ აწ გარდაცვლილ ნოდარ შელიას (გარდაცვლილი 23.12.2009წ.) კუთვნილ უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ზალდასტანიშვილის (ყოფ. ფერხულის და ყოფ. ლიბკნეხტის) ქ. ?10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე 10/54 ნაწილზე როგორც უმკვიდრო ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემას.

თუ ვინმეს პრეტენზია გაგაჩნიათ აღნიშნულ ქონებაზე გთხოვთ მობრძანდეთ ქ. თბილისში, კოსტავას ქ. ?76-ში მდებარე სანოტარო ბიუროში შვიდი დღის განმავლობაში

ნოტარიუსი ნ. ბაკურაძე

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023755

შემსყიდველი	კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	31.10.2013 17:39
წინადადებების მიღება იწყება	04.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.11.2013 15:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	4000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	34300000-ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	34300000-ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ ტექნიკური დავალება
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	16 ლარი
გარანტიის ოდენობა	40 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

ზვიად სიჭინავა: «ეს იყო უეფაში ჩვენი ყველაზე ნაყოფიერი სამუშაო ვიზიტი»

უეფაში მორიგ სამუშაო შეხვედრებსა და კომიტეტის სხდომაზე იმყოფებოდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე.

პრეზიდენტი და გენერალური მდივანი თბილისში კმაყოფილები დაბრუნდნენ.

ზვიად სიჭინავა: «ეს იყო სოციალური ვალდებულებებისა და Fair Play-ს კომიტეტის მორიგი სხდომა. ამის გარდა, გვქონდა სამუშაო შეხვედრები უეფას მაღალ ეშელონებში. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ იმ ოთხი წლის განმავლობაში, რაც მე ფედერაციაში ვმუშაობ, ეს იყო ყველაზე ნაყოფიერი ვიზიტი და შეხვედრები. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ გაგვიჩნდა საქართველოში სამი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების დიდი შანსი. საკითხი უკვე დაიძრა ადგილიდან და, როგორც გითხარით, ძალიან სერიოზული პროექტებია. ამ ყველაფერს უახლოეს დღეებში განვიხილავთ სპორტის სამინისტროსთან ერთად, რადგან, პროექტების მასშტაბურობიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფოს ჩართულობა. მოკლედ, ეს ყველაფერი დაეფუძნება სამკუთხედის პრინციპს - უეფა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და სახელმწიფო. როცა ამ ყველაფერს განვიხილავთ, მერე ისევ გვექნება უეფაში შეხვედრები, რომ ვუთხრათ, მზადაა თუ არა ჩვენი ქვეყანა განახორციელოს ასეთი გრანდიოზული პროექტები.

ახლა მეტის თქმა არ მინდა და არც შემიძლია. როცა გვეცოდინება, რომ ყოველმხრივ მზად ვართ და სახელმწიფოსა და უეფასგან სრული მხარდაჭერა გვაქვს, მაშინ ყველაფერზე ღიად ვისაუბრებთ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ვთვლი, რომ დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ევროპის საფეხბურთო ოჯახს და უეფას დაუმტკიცა, რომ დიდი გამოწვევებისთვის მზად ვართ. ჩვენი ფედერაციისთვის ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა".

სფფ-ის პრესსამსახური

სანიკიძისა და შერმადინის ერთობლივმა 31-მა ქულამ «სარაგოსას» ბონში ვერ უშველა

დასანანი მარცხი იწვნია ქართველების გუნდმა ევროთასზე. გიორგი შერმადინისა და ვიქტორ სანიკიძის შედეგიანი თამაშით „სარაგოსა" თითქმის მთელი თამაში ამარცხებდა ბონში «ტელეკომს», მაგრამ ბოლო პერიოდში მასპინძლებმა გამრჯვება მოიპოვეს - 108:104.

სარაგოსელებს თითქმის იგივე რამ შეემთხვათ, რაც წინა ტურში ბერლინში, „ალბასთან". მაშინაც მთელი თამაში ლიდერობდნენ არაგონელები, თუმცა, ბოლო წუთებზე 3 ქულით წააგეს. წუხანდელ მატჩს ესპანური გუნდი პირველივე წუთიდან იგებდა და ასე გაგრძელდა ბოლო წუთებამდე. მასპინძელთა შეუპოვრობამ საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანა.

სანიკიძე და შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყვნენ და მოედანზე მთლიანობაში თითქმის თანაბარი დრო გაატარეს. ვიქტორმა 26:45 წუთი ითამაშა, გიორგიმ - 26:32. სანიკიძემ 16 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მან 6-დან 2 ორქულიანი, 7-დან 3 სამიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

რაც შეეხება შერმადინს, ქართველმა ცენტრმა 15 ქულას, 4 მოხსნას, 2 პასს და 1 დაფარებას მოუყარა თავი. გიორგიმ 9-დან 5 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 16 შეადგინა, რაც, დამიან რუდეჟთან ერთად, სარაგოსელთაგან საუკეთესო შედეგი იყო.

ერთი გამარჯვებითა და ორი მარცხით „სარაგოსა" 6-გუნდიან ჯგუფში მეოთხე ადგილზეა. მომდევნო მატჩს სარაგოსელები 6 ნოემბერს, შინ, რომის „ვირტუსთან" ჩაატარებენ.

გრაველინი	3	0	224	187	37
ვირტუსი	2	1	242	222	20
ალბა	2	1	228	218	10
სარაგოსა	1	2	245	235	10
ტელეკომი	1	2	239	264	-25
მონსი	0	3	184	236	-52

gbf.ge

ფაჩულიას მედისონი

პირველი გვერდიდან

ტაი და „ნიქსი" ცოტა სხვა ამბებისთვის ემზადებინ და იმ გეგმებში „მილუოკი" არ ზის. ჩენდლერი ზაზას გეგმებშიც არ იჯდა და ფაჩულიამ ტაისონი გადახია. ზაზა ტაისონზე ჩენდლერი და ორივე გუნდში საუკეთესო მაღალი იყო. ფაჩულიამ გადასახა.

არ შეიმჩნია პოპულარული იტალიელი ანდრეა ბარნიანი, რომელიც დრაფტის პერლი იყო და დღეს პოდიუმის გოგონაა. ბარნიანი მაღალი და მოძრავი ფორვარდია, რომელიც იტალიის ნაკრებში ცენტრობს, „ტორონტოში" უსაქმურობდა და „ნიუ იორკში" კარმელო ენტონის ლელო უნდა დაადებინოს. ბარნიანიმ ზაზა გაიცნო. და ზაზამ იტალიელი ვერ დაინახა.

არ შეიმჩნია კარმელო ენტონი, რომელიც „ნიუ იორკში" ლებრონია. რეალურად, კარმელო ლებრონი არ არის და რეალურად, ვინმემ ეს რომ უთხრას, ნიუ იორკიდან წამოვა, იტირებს, ფილ ჯექსონის ტვიდის პიჯაკში გაეხვევა და იქვითიონებს. და კარმელო ენტონიმ „მილუოკისთან" თავისი 19 ქულა, 10 მოხსნა და მერლინ მენსონის კალათბურთი დატოვა. ენტონი ასრულებდა და ზაზა „მილუოკის" უსრულებდა. ზაზამ საქმე გააკეთა. ზაზა დიდი იყო.

„ნიქსმა" 25 ქულა წაიყვანა და დადგა. და იმ წუთებში ზაზა საქმეს აკეთებდა. იმ წუთებში ზაზამ საქმეს მიხედა და ფაჩულია შეუცვლელი იყო. სანდერსი ისვენებდა და მისი შემცვლელი ასრულებდა.

საქართველოს ნაკრებში შეუცვლელი ზაზაა. და ზაზას ასვენებენ. „მილუოკიში" ცოტა სხვა თემაა. იქ მისტერ სანდერსი ძირითადი მეხუთე ნომერია და მისტერ სანდერსი ნორმალური ბიჭია. კარგი საშუალოთი, საკაიფო დაცვით, მშვენიერი მაჯით და მანიაკის თვალებით. ზაზა ჯერ ამ ახალგაზრდა ტიპის შემცვლელია და ალბათ, სადღაც, რაღაც მომენტში ძირითადი მეხუთე ნომრის წუთებსაც მიიღებს. ყველა ვარიანტში უნდა მიიღოს. ახალი რეგულარულის პირველ თამაშში ფაჩულია შეუცვლელი იყო და სანდერსი პირიქით, შეცვლილი და შესაცვლელი. ფაჩულიამ „მილუოკის" მაქსიმუმი აჩუქა და სანდერსმა - მინიმუმის ნაშთი. ფაჩულიამ ორმაგი დუბლის ორმაგი აგრესიით გახსნა სეზონი და სანდერსი არ ჩანდა. „მილუოკიმ" წააგო, მაგრამ ეს მოსალოდნელი იყო. „ბაქსი" ცუდი გუნდია და ზაზა - The Man.

„ნიუ იორკმა" ზედიზედ მეექვსედ მოუგო „მილუოკის" და „მილუოკიმ" ზედიზედ ოცდამეცხრედ (!) გახსნა რეგულარული სხვის ტერიტორიაზე.

და მილუოკიში" ზაზაა.

თბილისში დიდი სტუმრიანობაა

გიგა გურასაშვილი

საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ლეგენდარული უკრაინელი სპორტსმენი, ჭოკით ხტომაში სეულის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი, ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი სერგეი ბუბკა. თბილისს სტუმრობს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალების კომისიის თავმჯდომარე გვიდო დე ბონდი.

სერგეი ბუბკას, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ის ხელმძღვანელ ალექსი ახვლედიანთან ერთად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა უმასპინძლა.

მხარეებმა თბილისში 2014 წელს დაგეგმილ მძლეოსნობის ევროპის გუნდური ჩემპიონატის, ასევე 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებზე და საქართველოში მძლეოსნობის განვითარებაზე ისაუბრეს.

ვიზიტის ფაზრგლებში ბუბკა სტუმრობდა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს. მან ასევე დაათვალიერა თბილისი 2015-ისთვის მშენებარე ოლიმპიური სოფელი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე სპორტული ინფრასტრუქტურა და დიდუბის მძლეოსნობის სასახლე.

„საქართველოში მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის ახვლედიანის მოწვევით ვიმყოფები.

სახელმწიფოების დონეზე ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ასევე სპორტის სამინისტროების დონეზეც, - ამბობს სერგეი ბუბკა. - შევხვდი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს. საშუალება მქონდა მენახა თბილისი 2015-ის ფესტივალის ოლიმპიური სოფლის მშენებლობა. სასიამოვნოა, რომ გაისად უმასპინძლებთ მძლეოსანთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატს, 2015 წელს კი - ევროპის ოლიმპიურ ფესტივალს.

მინისტრთან ერთად ვიმსჯელეთ ჩვენი ურთიერთობის უფრო გაღრმავებაზე.

გვაქვს გამოცდილება, ცოდნა. უკრაინა ყოველთვის იყო ძლიერი სპორტული ქვეყანა. თქვენც კარგი ტრადიციები გაქვთ. ამიტომაც განვამტკიცებთ თანამშრომლობას.

ვიმსჯელეთ ბავშვთა მძლეოსნობის განვითარებაზეც, იმაზეც, თუ როგორ უნდა მოხდეს მძლეოსნობის ინტეგრირება საგანმანათლებლო სისტემაში. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას ამ მხრივ სერიოზული პროექტები აქვს. ჩვენ, ჩვენი მხრიდან, მხარდაჭერას აღმოვუჩენთ საქართველოს მძლეოსნობის ფედრაციას, მაგრამ საჭიროა სპორტისა და განათლების სამინისტროების ჩართულობაც, რათა ხელი მოეწეროს მემორანდუმს.

განვიხილეთ რეგიონებში მძლეოსნობის განვითარების საკითხი, რომლის განსავითარებლად მნიშვნელოვანია სათანადო ინფრასტრუქტურა. მძლეოსნობა - ეს არის ბაზა სპორტის ბევრი სახეობისთვის. საკითხთან დაკავშირებით ვიგრძენი ინტერესი, მზაობა. იმედია, საქართველოში მძლეოსნობა განვითარდება და გაგვახარებთ თქვენი შედეგებით. გამოჩნდებიან ახალი სანეევები, შავლაყაძეები, აზარაშვილები, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ მსოფლიო მძლეოსნურ ოჯახში".

სერგეი ბუბკას ვიზიტის პარალელურად, საქართველოს სტუმრობენ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალების კომისიის თავმჯდომარე გვიდო დე ბონდი, რომლებიც ასევე ეწვივნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს.

სამინისტროში შეხვედრის დროს საუბარი დაეთმო თბილისი 2015-ის მიმდინარე საორგანიზაციო საკითხებსა და სამომავლო გეგმებს.

«ჩვენი სტუმრობის მიზეზი 2015 წლის თბილისის ევროპის ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადების პროცესთან გაცნობაა, - ამბობს პატრიკ ჰიკი. - მზადების პროცესი სწორი მიმართულებით მიდის, რაშიც ჩვენც დავრწმუნდით. ევროპის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამით თბილისი და საერთოდ საქართველო დიდ მემკვიდრეობას ღებულობს».

პატრიკ ჰიკმა და გვიდო დე ბონდმა ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები ჰქონდათ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ბიძინა ივანიშვილთან, ოლიმპიური კომიტეტისა და თბილისი 2015-ის ხელმძღვანელ პირებთან, მათ ასევე დაათვალიერეს მშენებარე ოლიმპიური სოფელი და შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა.